მოსკოვი — ოლიმპიადის მასპინძელი

ვენა, 23 ოქტომბერი. (საკდესი). 1980 წლის საზაფხულო ოლიმპიური თამაშები მოსკოვში ჩატარდება. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა აქ მიმდინარე 75-ე სესიაზე.

ს უ რ ა თ ზ ე: მოსკოვი. კრემლის ხედი.

ვ. სობოლევის ფოტო (საკდესი).

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 211 (5241) 24 ოქტომბერი, ხუთშაბათი. 1974 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ლაპარაკობენ ქართველი ოლიმპიელები

ჩემი სიხარული

მოსკოვში 1956 წლიდან ტარდება სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადები, ეს ასპარეზობა კი თავისი მასშტაბითა და ორგანიზაციით ოლიმპიურ თამაშებს როდი ჩამოუვარდება. მერწმუნეთ, ეს ლიტონი განცხადება არ არის, ყოველივე ჩემი თვალით მაქვს ნანახი და, ხომ იცით, ნათქვამია, ასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი სჯობს. მე ვმონაწილეობდი ხუთივე საკავშირო სპარტაკიადაში და რომისა და ტოკიოს ოლიმპიადებში.

ძალიან გახარებული ვარ იმით, რომ მოსკოვი 1980 წელს სამყაროს საუკეთესო სპორტსმენებს უმასპინძლებს.

ნ. ასათიანი,
სპორტის დამსახურებული ოსტატი, ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონი ფარიკაობაში, „ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე.

ბედნიერი ვარ

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 75-ე სესიის გადაწყვეტილებამ 1980 წლის ოლიმპიური თამაშების მოსკოვში ჩატარების თაობაზე გული სიხარულით ამივსო. უნდა გამოგიტყდეთ: თავიდანვე დარწმუნებული ვიყავი, რომ მოსკოვის კანდიდატურა გაიმარჯვებდა. ამის საფუძველს მაძლევდა საბჭოთა დედაქალაქის შესანიშნავი სპორტული ბაზები და უდიდესი მასშტაბის შეჯიბრებების ჩატარების დიდი ტრადიცია, აგრეთვე, და, რაც მთავარია, მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის შეუნელებელი მზრუნველობა სპორტის აყვავებისთვის. ყოველივე ეს ხომ საყოველთაოდ ცნობილია!

1952 წლის შემდეგ, როცა ჰელსინკის XV ოლიმპიურ თამაშებში ბრინჯაოს მედალი მოვიხვეჭე ბადროს ტყორცნაში, 22 წელი გავიდა. ის დღეები ახლაც გულშიჩვილივით მახსოვს — ეს იყო ახალგაზრდობისა და სპორტის, სილამაზისა და მეგობრობის ზეიმი. ბედნიერი ვარ, რომ საერთაშორისო სპორტული მოძრაობის ყველაზე დიდი ასპარეზობა ამჯერად, 1980 წელს, საბჭოთა სახელმწიფოს დედაქალაქში გაიმართება.

ნ. დუმბაძე,
სპორტის დამსახურებული ოსტატი, მსოფლიოს ექსრეკორდსმენი ბადროს ტყორცნაში, უმაღლესი სპორტული ოსტატობის № 1 რესპუბლიკური სკოლის დირექტორი.

სამართლიანი გადაწყვეტილება

ეჭვს არ უნდა, ოლიმპიური თამაშები მთელი სამყაროს სპორტსმენთა უდიდესი დღესასწაულია. საბჭოთა სპორტსმენები პირველად 1952 წელს ჩაებნენ თანამედროვეობის ამ ყველაზე საინტერესო სპორტულ ფორუმში. მე წილად მხვდა ბედნიერება საბჭოთა ქვეყნის ღირსება დამეცვა ჰელსინკის ოლიმპიადაში. დიახ, ბედნიერი ვიყავი, როცა ოლიმპიადის ოქროს მედალი გადმომცეს.

მართალი გითხრათ, ეს სიხარული და აღფრთოვანება დღევანდლამდე გამომყვა. ამიტომაც ჩემთვის განსაკუთრებით სასიხარულოა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სამართლიანი გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ 1980 წლის ოლიმპიური თამაშები მოსკოვში უნდა ჩატარდეს. ეს საბჭოთა სპორტსმენებმა თავიანთი უდიდესი მიღწევებით დაიმსახურეს.

დ. ციმაკურიძე,
სპორტის დამსახურებული ოსტატი, ჰელსინკის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში.

ოლიმპიური ცეცხლი — კოსმოსიდან

ვენა, 22 ოქტომბერი. ინგლისელმა მეცნიერმა პ. ლუფმა წამოაყენა წინადადება, რომ ათენიდან მონრეალში ოლიმპიური ცეცხლი გადაიტანონ... კოსმოსის გავლით. საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა, რომელმაც დღეს თავის სესიაზე განიხილა 1976 წლის ოლიმპიური ჩირაღდნის მოგზაურობის მარშრუტი, მოიწონა ეს გეგმა.

... როგორც მუდამ, ჩირაღდანს აანთებენ ოლიმპიაში ჩაზნექილი სარკის მეშვეობით და შემდეგ ათენში ჩაიტანენ. მაგრამ „ჩვეულებრივი ამბები" ამით დამთავრდება. საბერძნეთის დედაქალაქში სპეციალურ ლაბორატორიაში ცეცხლის სითბოს გარდაქმნიან ელექტრომაგნიტურ იმპულსად, რომელიც დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრზე გადაეცემა. ამ იმპულსს ჩართავს თანამგზავრის ლაზერი, რომლის სხივიც, თავის მხრივ, კანადაში ახალ ოლიმპიურ ჩირაღდანს აანთებს. ამ მარშრუტით ოლიმპიური ცეცხლის „გადატანას" სულ ნახევარი წამი დასჭირდება.

ლ. ვოლნუხინი.
(საკდესის კორ.).

მეტოქეები წინ გაუშვეს

ვარნა, 23 ოქტომბერი. (საკდესი). ტანმოვარჯიშეთა მსოფლიო ჩემპიონატში ვაჟთა სავალდებულო პროგრამის შემდეგ დაწინაურდა იაპონიის ნაკრები — 284,4 ქულა. II ადგილზე არიან საბჭოთა სპორტსმენები — 280,8, III — გდრ-ის წარმომადგენლები — 279,5.

როგორც მოსალოდნელი იყო, ლიდერობისთვის ბრძოლა უმთავრესად იაპონელ და საბჭოთა ტანმოვარჯიშეებს შორის გაჩაღდა. წარმატებით გამოვიდნენ გდრ-ის სპორტსმენებიც, რომელთა რიგებშიც არ იყო ვეტერანი კ. კოსტე (იგი ვარნაში დაშავდა საწვრთნელი ვარჯიშის დროს).

მძაფრ ბრძოლაში შეცდომებს ვერ გადაურჩნენ თვით აღიარებული ლიდერებიც კი — აბსოლუტური ოლიმპიური ჩემპიონი ს. კატო, ოლიმპიური ჩემპიონები მრავალჭიდის ცალკეულ სახეობებში ნ. ანდრიანოვი (8,85 ქულა თავისუფალ ვარჯიშში) და გ. კლიმენკო (8,8 — თავისუფალ ვარჯიშში, 8,1 — ტაიჭზე).

სამაგიეროდ, სსრ კავშირის ნაკრების ოთხი დანარჩენი წევრიდან (ვ. მარჩენკო, ე. მიქაელიანი, პ. შამუგია, გ. საფრონოვი) მხოლოდ შამუგიამ მიიღო ერთი 9 ქულაზე დაბალი შეფასება — 8,7 ტაიჭზე შესრულებული კომბინაციისთვის.

ხალიჩაზე წარუმატებელი გამოსვლის შემდეგ თავისუფალ ვარჯიშში ოლიმპიურ ჩემპიონს ანდრიანოვს გული არ გასტეხია. მან სხვა იარაღებზე მაღალი შეფასებები მიიღო (განსაკუთრებით ორძელზე — 9,7, რგოლებზე და ბჯენით ხტომაში — 9,65-9,65) და „სკოლის" შემდეგ მიქაელიანთან V-VI ადგილებს იყოფს მრავალჭიდში. თითოეულს 56,55 ქულა აქვს.

ლიდერობს ს. კასამაცუ (იაპონია) 57,7. ე. კენმოცუს — 56,9 ქულა აქვს. III-IV ადგილებს იყოფენ გ. ტიუნე (გდრ) და მ. ცუკაჰარა (იაპონია) — 56,75-56,75. მარჩენკო ჯერჯერობით მერვეა (56,2), შამუგია — მეჩვიდმეტე (55,4).

დღეს, გვიან საღამოს, ნებისმიერი პროგრამით ასპარეზობის შემდეგ გამოვლინდება მსოფლიო ჩემპიონი ქალთა გუნდებს შორის.

ახალი ამბავი-74

● მანილა, 22 ოქტომბერი. ფილიპინების დედაქალაქში მიიწურა მოჭადრაკე ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი. მოსკოველ დიდოსტატს ე. ვასიუკოვს XIV ტურის შემდეგ 10 ქულა დაუგროვდა და, სულ ცოტა, I ადგილს გაიყოფს. II ადგილზეა მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, საბჭოთა დიდოსტატი ტ. პეტროსიანი — 9 ქულა. ლიდერთა ჯგუფში არიან ბ. ლარსენი (დანია) — 8 ქულა და 1 გადადებული პარტია, ფ. გეორგიუ (რუმინეთი) და ს.გლიგორიჩი (იუგოსლავია) — 8-8 ქულა. ბოლო, XV ტურში ვასიუკოვი გლიგორიჩს ეთამაშება, ხოლო პეტროსიანი — ლარსენს.

● კალინინგრადი, 22 ოქტომბერი. რუსულ შაშში სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება მოიხვეჭა მინსკის რადიოქარხნის ზეინკალმა, სპორტის ოსტატმა ა. პლაკხინმა. ეს მისი მეოთხე გამარჯვებაა საკავშირო პირველობებში. ამჯერად პლაკხინმა უაღრესად დაძაბული ბრძოლის შემდეგ მიაღწია მიზანს. ეს შეუპოვარი ბრძოლა მთელი 18 ტურის მანძილზე გრძელდებოდა. ბოლო ტურში პლაკხინი თავისუფალი იყო. მას 12,5 ქულა ჰქონდა და მოუთმენლად ელოდა თავისი უახლოესი მეტოქეების — ახალგაზრდა ოსტატების ე. კუკლეევისა (მოსკოვის ოლქი) და მ. ფაზილოვის (უზბეკეთი) შეხვედრებს, რომლებსაც 11,5-11,5 ქულა ჰქონდათ. გამარჯვების შემთხვევაში ისინი ლიდერს დაეწეოდნენ. მაგრამ კუკლეევმა წააგო რიგელ ოსტატ ვ. ვიგმანთან, ხოლო ფაზილოვმა ზავით დაამთავრა პარტია შეჯიბრების ყველაზე ახალგაზრდა მონაწილესთან, მოლდაველ ოსტატობის კანდიდატ ი. დოსკასთან. ვერცხლის მედალი ფაზილოვს ხვდა, ბრინჯაოსი — კუკლეევს.

ახალი ამბავი-74

ტანვარჯიში

25 ოქტომბერს

საქართველოს დოსააფის ცენტრალური კომიტეტის სხდომათა დარბაზში (ი. ჭავჭავაძის პრ. № 58) გაიმართება სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადის პირველი წლის შედეგებისა და ფინალური შეჯიბრებებისთვის მზადებისადმი მიძღვნილი სპორტის ტექნიკური სახეობების წარმომადგენელთა აქტივის კრება.

დასაწყისი 11 ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეხმაურებით წერილს „თეთრი და შავი არაგვი"

ისევ ჭადრაკის შესახებ

ამ ბოლო ხანს, როცა ქართულ ჭადრაკზე წერენ და ლაპარაკობენ, ერიდებიან ეგრეთ წოდებულ პარადულ ტონს. ყველასთვის ცხადზე ცხადია, რომ ჩვენი საჭადრაკო სკოლა ორ ნაწილადაა გაყოფილი. ერთ მხარეს დგანან საქვეყნოდ განთქმული მოჭადრაკე ქალები, ხოლო მეორე მხარეს — ვაჟები, რომლებიც, მშვენიერი სქესის წარმომადგენელთაგან განსხვავებით, საკმაოდ ულიმღამოდ თამაშობენ.

თუმცა, უმჯობესია მივმართოთ მშრალ სტატისტიკას, რათა ზოგად განცხადებას არ დავჯერდეთ. „სტატისტიკის ენა" კი ამას გვეუბნება:

ჭადრაკი საქართველოში დიდად პოპულარული სახეობაა. ამ სახეობის გულშემატკივარი ჭეშმარიტად ურიცხვია, რაც შეეხებათ მიმდევრებს, აქაც ერთი შეხედვით სამდურავი არ უნდა გვეთქმოდეს. საქართველოს ფიზკულტურის ძირეული კოლექტივები 77 ათას მოჭადრაკეს ითვლიან. მსოფლიო ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი, ამ ტიტულის პრეტენდენტი ნ. ალექსანდრია, ჭადრაკის ამომავალი ვარსკვლავი მ. ჩიბურდანიძე, დიდოსტატები ბ. გურგენიძე, ე. გუფელდი, საერთაშორისო ოსტატები რ. ჯინჯიხაშვილი, ა. ჩაიკოვსკაია, 4 საერთაშორისო არბიტრი, 18 სპორტის ოსტატი, 62 ოსტატობის კანდიდატი, 400-ზე მეტი პირველთანრიგოსანი... მათს აღზრდა-დაოსტატებას ემსახურება 414 მწვრთნელი, 6549 საზოგადოებრივი ინსტრუქტორი, 5000-მდე საზოგადოებრივი მსაჯი.

— წერილის შესავალი და სტატისტიკური მონაცემები სრულიადაც არ ეთანხმება ერთმანეთს, ერთობ კარგი მაჩვენებლები გვქონია, — წამოიძახებს საქმეში ნაკლებად ჩახედული მკითხველი.

აი, სწორედ ამიტომაც, საქმეში უკეთ გასარკვევად ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა რესპუბლიკის სპორტკომიტეტის მთავარ მწვრთნელს ჭადრაკში ზურამ მაჭავარიანს და სთხოვა აზრი გამოეთქვა ამ საკითხის შესახებ.

ალბათ ბევრი მკითხველისა და ჭადრაკის მოყვარულის ყურადღება მიიქცია გაზეთ „ლელოში" გამოქვეყნებულმა წერილმა „თეთრი და შავი არაგვი", რომელიც ჩვენი ჭადრაკის ერთობ აქტუალურ და საჭირბოროტო საკითხებს ეხება. ჩემი აზრით, წერილში პოპულარული ენითაა გადმოცემული ის პრობლემები, რომლებიც განსაკუთრებით მწვავედ დგას მიმდინარე ეტაპზე. სტატიაში ზოგადად არის მიმოხილული ზოგიერთი საყურადღებო საკითხი, მაგრამ ჩამორჩენის, კერძოდ, ვაჟთა ჭადრაკის უკან დახევის მიზეზები ფაქტებით როდია განმტკიცებული. წერილი ამ მიზანს ალბათ არც ისახავდა. მე, როგორც ჭადრაკში რესპუბლიკის სპორტკომიტეტის მთავარი მწვრთნელი, შევეცდები უფრო კონკრეტულად დავუხატო მკითხველს ჩვენს ჭადრაკში შექმნილი მდგომარეობა.

დიახ, ვაჟთა ჭადრაკის ჩამორჩენას ბევრი სერიოზული მიზეზი აქვს. ჩვენ ყველა თვალნათლივ ვხედავთ, რომ ვაჟთა ჭადრაკის დღევანდელი საერთო დონე არ შეეფერება საკავშირო სტანდარტს. ეს მაშინ, როცა საქართველო სამართლიანად ამაყობს თავისი მოჭადრაკე ქალებით, საზოგადოდ, ქალთა ქართული საჭადრაკო სკოლით. მაშ, რა დაემართათ ვაჟებს, რატომ მოექცევიან ისინი კუდში ჭადრაკის არნახული განვითარების პროცესს? ეს დიახაც დიდი და თავსატეხი პრობლემაა...

ვერ ვიტყვით, თითქოს ვაჟთა ჭადრაკი ჩვენში მასობრივი არ იყოს. პირიქით, პატარა რესპუბლიკისთვის ჩვენი მოჭადრაკე ვაჟების რიცხვი დიდიც არის. მაგრამ, თუ ამ სასიხარულო, ოპტიმისტურ ციფრებს უფრო დაწვრილებით განვიხილავთ, ბევრ შეუსაბამობას აღმოვაჩენთ. გამოირკვევა, რომ განსაკუთრებით რაიონებში სპორტის მესვეურნი მოჭადრაკეებს მიაკუთვნებენ ამ ბრძნული თამაშის რიგით მოყვარულებსა და თაყვანისმცემლებს — ეგრეთ წოდებულ საოჯახო მოჭადრაკეებს. კიდევ კარგი, რომ მათს რიცხვში არ მოექცა ჭადრაკის ყველა გულშემატკივარიც, თორემ ციფრი ჭეშმარიტად ასტრონომიული იქნებოდა.

საკითხავია, განა ეს გამოხატავს სინამდვილეში არსებულ სურათს? ასეთი გაბერილი ციფრები ჩვენს ჭადრაკს არ სჭირდება, ისინი ქმნიან მოჩვენებითი კეთილდღეობის სურათს. სხვათა შორის, ასეთმა მავნე პრაქტიკამ ვაჟთა ჭადრაკის გარდა რესპუბლიკაში სპორტის ბევრი სხვა სახეობაც დააქვეითა და ლამის კატასტროფამდე მიიყვანა. სამწუხაროდ, ადგილებზე სპორტის ზოგიერთმა მესვეურმა ასეთივე დათვური სამსახური გაუწია ჭადრაკსაც, რამეთუ ფიქრობენ საკუთარი პერსონის წარმოჩენაზე და ქების სიგელებზეც კი.

მოვიყვან ერთ თვალსაჩინო მაგალითს. 1972 წელს რესპუბლიკაში აღირიცხებოდა 5373 სექცია, 81432 მოჭადრაკე, 18 ოსტატი, 416 ოსტატობის კანდიდატი და პირველთანრიგოსანი, 522 მწვრთნელი, 6046 საზოგადოებრივი ინსტრუქტორი და 5356 საზოგადოებრივი მსაჯი. 1973 წელს ეს ციფრები ასეთი იყო: 5198 სექცია, 77012 მოჭადრაკე, 18 ოსტატი, 406 ოსტატობის კანდიდატი და პირველთანრიგოსანი, 414 მწვრთნელი, 6549 საზოგადოებრივი ინსტრუქტორი და 5102 საზოგადოებრივი მსაჯი. როგორც ხედავთ, 1972 წლის მაჩვენებლებმა საგრძნობლად იკლო ერთი წლის შემდეგ.

მიუხედავად იმისა, რომ სათანადო შემოწმების შემდეგ საერთო საქმის საკეთილდღეოდ ასტრონომიული ციფრები რეალურ სურათს დავამსგავსეთ, დღემდე დარწმუნებული არა ვართ, რომ ისინი სავსებით გამოხატავენ არსებულ ვითარებას. ესე იგი, ეგრეთ წოდებული „მკვდარი სულები" ჯერ კიდევ ცოცხლობენ ნაირნაირ დღიურებსა და ანგარიშებში.

განა ამის შემდეგ უნდა გვიკვირდეს, რომ ფიქციურ მოჭადრაკეთა არმიიდან (ეს უპირველეს ყოვლისა ეხება რაიონების საჭადრაკო ცხოვრებას) ბოლო წლებში თითქმის არც ერთი საიმედო მოჭადრაკე ვაჟი არ მიგვიღია? უფრო მეტიც, რესპუბლიკური მასშტაბის შეჯიბრებები თბილისის პირველობას უფრო წააგავს (სამწუხაროდ, ასევეა ქალთა ტურნირებშიც), თუ არ გავითვალისწინებთ თითო-ოროლა მოჭადრაკეს ქუთაისიდან. გამოდის, რომ ჩვენი ჭადრაკი ერთ ნაჭუჭშია მოქცეული, მისი განვითარება მხოლოდ დედაქალაქის მოჭადრაკეებზეა დამოკიდებული.

რაც შეეხებათ თვად თბილისის — ქართული ჭადრაკის ერთადერთი ფუძის მოჭადრაკე ვაჟებს, მათი მისამართითაც სერიოზული სამდურავი უნდა გამოვთქვათ. გადის წლები, ჩვენს ჭადრაკში მოდიან ახალ-ახალი თაობები, მაგრამ პესიმისტური სურათი მაინც უცვლელი რჩება. კვლავ დაუსრულებლად ვამყარებთ იმედს შედარებით ძლიერ მოჭადრაკეთა უცვლელ ბირთვზე, რომლის გარშემოც ძლიერ სუსტი „თანამგზავრები".

მკითხველი საზოგადოებრიობა ალბათ დიდი ყურადღებით გაეცნო „ლიტერატურულ საქართველოში" გამოქვეყნებულ პუბლიცისტურ წერილს „ოსტატი და შეგირდი", რომელსაც წითელ ზოლად მიჰყვება ოსტატისა და შეგირდის, ანუ თაობათა მონაცვლეობისა და ესტაფეტის პრობლემა. ეს საკითხი სამართლიანადაა განზოგადებული და მოიცავს ჩვენი ყოფის ბევრ საჭირბოროტო მხარეს, მათ შორის, სპორტისა და ამიტომ, ბუნებრივია, ჭადრაკის განვითარების საკითხსაც. ჩვენ მუდამ გვყავდა და ახლაც გვყავს ძლიერი მოჭადრაკე ვაჟები, მაგრამ სკოლა, როგორც ასეთი, ვაჟთა ჭადრაკში ვერა და ვერ შევქმენით.

რაშია საქმე? ნუთუ ძლიერი მოჭადრაკეები მხოლოდ ცალმხრივად ემსახურებიან ჭადრაკს, ანუ უგულებელყოფენ ჩვენი ჭადრაკის განვითარების მაგისტრალურ მიმართულებას, თითს თითზე არ აკარებენ, რათა ქართულ ჭადრაკს საიმედო კადრები გამოუზარდონ? აბა, ასეთი რთული ამოცანის გადაწყვეტა როგორ უნდა მოვთხოვოთ მაღალკვალიფიციურ მოჭადრაკეებს, როცა თვად არ იმაღლებენ თეორიულ ცოდნას, ცუდად მუშაობენ საკუთარი ოსტატობის დონის ასამაღლებლად (ეს არ ითქმის ქალებზე), თავს არიდებენ რესპუბლიკურ და საქალაქო შეჯიბრებებს, არ მონაწილეობენ საჭადრაკო ორგანიზაციის სპორტულ ცხოვრებაში და გაურბიან საზოგადოებრივ საქმიანობას. განა ჩვენ თვალნათლივ არ ვხედავთ ასეთი უსწორო პოზიციის სამწუხარო შედეგს? მოწინავე მოჭადრაკეები მოუწესრიგებლად, უგულოდ, უინტერესოდ თამაშობენ, ხოლო საკავშირო შეჯიბრებებში ბევრი მათგანი ერთობ წარუმატებლად გამოდის.

ძალიან უცნაური ჩანს სპორტსაზოგადოებების მესვეურთა პოზიცია ჭადრაკის მიმართ. ისინი აწყობენ მხოლოდ საჭადრაკო ტურნირებს, მაგრამ ყოველგვარ საწვრთნელ მუშაობას უგულებელყოფენ. საქმე კურიოზამდე მიდის. საკავშირო შეჯიბრებების წინ სპორტსაზოგადოებათა ხელმძღვანელები სასწრაფოდ იწყებენ მწვრთნელების ძებნას, რომლებიც მათ საერთოდ არ ჰყავთ. ერთი სიტყვით, ისინი მხოლოდ „მზა პროდუქციას", ანუ სხვაგან აღზრდილ მოჭადრაკეებს ღებულობენ, ხოლო თავიანთი კადრების გამოზრდისთვის თავს არ იწუხებენ. გამოდის, რომ ჩვენს ჭადრაკს სპორტსაზოგადოებათა იმედი სულაც არ უნდა ჰქონდეს და, სამწუხაროდ, არცა აქვს.

ჭადრაკის სასახლე... დიდებული შენობა, ქართული ჭადრაკის თავისებური მექა, მძლავრი მაორგანიზებელი ცენტრი... აქ ყველაფერი სწორია, ბოლო სიტყვების გარდა. დიახ, ჭადრაკის ახალ სასახლეს (იგი ორიოდე წლის წინათ გაიხსნა) სუსტი კავშირი აქვს რესპუბლიკის საჭადრაკო კლუბებთან. ასეთი მდგომარეობა დაუშვებელია. ჭადრაკის სასახლე წვითა და დაგვით მრავალი წლის მანძილზე ტკბილად როდი გვიშენებია. მან უნდა გაამართლოს საპატიო მისია — იყოს რესპუბლიკაში ჭადრაკის განვითარების უპირველესი ცენტრი, უნარიანად წარმართავდეს ადგილებზე ნაყოფიერ საჭადრაკო ცხოვრებას. ჯერ-ჯერობით კი ეს სურვილია და მეტი არაფერი. და კიდევ ერთი საკითხი: რესპუბლიკის საჭადრაკო კლუბები განიცდიან კვალიფიციური მწვრთნელების ძალზე უკმარობას, რის გამოც ყოველგვარი მეთოდური მუშაობა ჩაშლილია.

კიდევ ერთი კურიოზი ნათქვამის საილუსტრაციოდ. შარშან რესპუბლიკურ სემინარზე რაიონებიდან მხოლოდ 5 მწვრთნელი ჩამოვიდა. 5 მწვრთნელი ეს ხომ წარმოუდგენლად ცოტაა, თუ რესპუბლიკურ მასშტაბს გავითვალისწინებთ (სტატისტიკური მონაცემებით, 400-ზე მეტი მწვრთნელი გვყავს). ასევე, თუ სტატისტიკას დავუჯერებთ, რაიონებში მწვრთნელები 100-150 საწვრთნელო საათით არიან დატვირთული. კეთილი და პატიოსანი, ასეთი ინტენსიური ვარჯიშის შედეგად ბევრი ძლიერი მოჭადრაკე უნდა გაზრდილიყო.

ნუ ავჩქარდებით დასკვნის გამოსატანად: როცა რაიონების მოჭადრაკეები რესპუბლიკურ სპარტაკიადაში მონაწილეობენ, ირკვევა, რომ მათ პარტიის ჩაწერაც კი არ იციან, სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ. აი, როგორ ასწავლის ზოგიერთი ვაი-მწვრთნელი თავის მოწაფეს ჭადრაკს.

ამდენი ნაკლოვანების აღნიშვნის შემდეგ შეიძლება მკითხველს უპართებულო აზრი შეექმნას, თითქოს ქართული ჭადრაკი (მხედველობაში გვყავს ვაჟები) უიმედოდ ჩამორჩა. ეს არამც და არამც არ იქნებოდა სწორი, პირიქით, მიუხედავად სერიოზული წარუმატებლობისა, ჩვენი ჭადრაკი, რა თქმა უნდა, ვითარდება, მაგრამ ამ განვითარების დონე არ შეეფერება თანამედროვე მოთხოვნებს. აი, ამიტომაც, ერთგვარი პროგრესის მიუხედავად, ჩვენ ნელ-ნელა, მაგრამ სისტემატურად ჩამოვრჩებით ძირითად მეტოქეებს. სწორედ ამითაა განპირობებული ჩვენი ვაჟების მეტისმეტად მცირე ხვედრითი წონა საკავშირო საჭადრაკო ცხოვრებაში.

ისმება კითხვა: ნაკლოვანებები ნაკლოვანებებად, მაგრამ მათს აღმოსაფხვრელად რა უნდა ვიღონოთ? ჩვენ დავასახელეთ ჩამორჩენის მიზეზები; საქმე კი შეთანხმებულად, თანმიმდევრულად და, თუ გნებავთ, კოლექტიურად უნდა აკეთონ რესპუბლიკის საჭადრაკო ორგანიზაციამ, ჭადრაკის ფედერაციამ, სპორტსაზოგადოებებმა, ჭადრაკის სასახლემ და, რა თქმა უნდა, რესპუბლიკის სპორტკომიტეტმა.

ყველაფერთან ერთად, ამ ნაკლოვანებათა გამოსწორებაზეა დამოკიდებული, როგორ ჩაებმებიან ჩვენი მოჭადრაკეები ყველაზე დიდ გამოცდაში, როგორ გამოვლენ სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადაში.

საქართველოს პროფკავშირთა სპარტაკიადა

საიმედო შედეგები

სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ერთადერთი სახეობა, რომელშიც ასპარეზობა ფოთში ჩატარდა, ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობა იყო. შეჯიბრებას „ვოდნიკის" ბაზა მასპინძლობდა და მოსალოდნელი იყო, რომ ამ საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს ხელმძღვანელობა ტურნირის მაღალ დონეზე გამართვისთვის ძალ-ღონეს არ დაიშურებდა. მაგრამ მას თავი ბაზის მომზადებისთვის კი არა, შეჯიბრებაზე დასწრებისთვისაც არ შეუწუხებია. მართალია, წყალკომარდობის სადგურის დირექციას ენერგია არ დაუზოგავს, მაგრამ ტურნირის ნორმალურად გამართვისთვის საჭირო ყველა პირობის შექმნა მაინც ვერ შეძლო. თუ იმასაც დავუმატებთ, რომ ვერც სამედიცინო მომსახურება იდგა სათანადო დონეზე, ნათელი გახდება, რომ მწვრთნელებს, წარმომადგენლებს, სპორტსმენებს საზრუნავი მოემატათ.

სტარტზე ექვსი გუნდის წევრი 13 სპორტის ოსტატი და 63 პირველთანრიგოსანი გამოვიდა. საქართველოს სპარტაკიადის წინ ნიჩბოსანთა ძალების ასეთი რანგის შემოწმებამ ცხადყო, რომ ზოგიერთ სპორტსაზოგადოებაში ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობის განვითარება კვლავ ჩამორჩება. „კოლმეურნემ" რიონზე ძალების საცდელად ერთი სპორტსმენიც ვერ გამოგზავნა, „სპარტაკისა" და „შრომითი რეზერვების" გუნდები კი სუსტად იყვნენ მომზადებული. ქალთა შეჯიბრებაში როგორც ერთი, ისე ორადგილიანი ნავებით რბოლის სტარტზე მხოლოდ 4-4 გუნდი გამოვიდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის მიუხედავად, შედეგები მრავლისმთქმელი იყო — 16 პრიზიორმა სპორტის ოსტატის ნორმატივს საგრძნობლად გააჭარბა, ერთმა მონაწილემ სპორტის ოსტატობის კანდიდატის შედეგი აჩვენა, ხოლო ხუთმა — პირველი თანრიგისა.

საქართველოს ნაკრებმა, რომელშიც ბევრი პროფკავშირელი სპორტსმენია, ეს სპორტული ფორმა სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვისაც უნდა შეინარჩუნოს. მაშინ, ეჭვი არ არის, ამ დიდ ასპარეზობაში (განსაკუთრებით ვაჟები) კარგად გამოვლენ.

ტექნიკური შედეგები

ქალები. 500 მ. ბაიდარა. ერთადგილიანი. ნ. ლუცენკო („ვოდნიკი") — 1.54,8, ი. სუქიცკაია („განთიადი") — 1.59,7, მ. ბუჯიაშვილი („ბურევესტნიკი") — 2.09,6; **ორადგილიანი.** ლ. მაიდანეცი — თ. კედელაშვილი („განთიადი") — 1.59,8, ნ. ცხვედაძე — ე. მორჩილაძე („ბურევესტნიკი") — 2.04,5, ზ. თიგიევა — ა. დავთიანი („სპარტაკი") — 2.05,4.

ვაჟები. 1000 მ. ბაიდარა. ერთადგილიანი. პ. ვიშნიაკოვი („ვოდნიკი") — 3.42,2, ა. ოლეინიკი („ლოკომოტივი") — 3.47,1, ვ. გრიგორიევი („ბურევესტნიკი") — 3.55,0; **ორადგილიანი.** გ. ლაგვილავა — ი. ტურუკინი („ვოდნიკი") — 3.21,6, ე. სოსელია — ნ. მიხაილოვი („ბურევესტნიკი") — 3.26,5, მ. გოგელაშვილი — გ. მუჯირიშვილი („განთიადი") — 3.29,1; **ოთხადგილიანი.** „განთიადი" (თ. კიკნაძე, ვ. კურსინი, ე. ივანოვი, ვ. მერკატუნი) — 3.09,2, „ლოკომოტივი" — 3.19,2, „ვოდნიკი" — 3.22,1. **კანოე. ერთადგილიანი.** მ. კლეიმანი („განთიადი") — 3.56,8, შ. კურტანიძე („შრომითი რეზერვები") — 4.06,7, ე. შუდრა („ვოდნიკი") — 4.18,1; **ორადგილიანი.** რ. მიქაძე — მ. კუჭავა („ვოდნიკი") — 3.41,0, ვ. ფიოდოროვი — მ. ჩაზმავა („ბურევესტნიკი") — 3.46,1, ს. როსტიაშვილი — ზ. გიგაური („განთიადი") — 3.59,0.

გუნდური: „ვოდნიკი" — 42 ქულა, „განთიადი" — 41, „ბურევესტნიკი" — 36, „ლოკომოტივი" — 26, „შრომითი რეზერვები" — 15, „სპარტაკი" — 12.

რ. მაღრაძე.

ულიდერებოდ

მშვილდოსნობაში უხეიროდ ჩატარებული რესპუბლიკური ჩემპიონატიდან ამ შეჯიბრების ორგანიზატორებმა და თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონის დირექციამ სათანადო დასკვნები გამოიტანეს და სპარტაკიადის მონაწილეებს სტადიონის სათადარიგო მინდორი დაუთმეს, მაგრამ საქართველოს ჩემპიონატის პრიზიორები ამჯერად სარბიელზე არ გამოსულან: ეს სპორტსმენები საკავშირო პირველობაში საასპარეზოდ მიემზადებოდნენ და ნაკრების ხელმძღვანელობამ მათი თბილისში გამოყვანა ზედმეტად მიიჩნია.

ამით გუნდები არ დაზარალებულან: რესპუბლიკის ნაკრების წევრებმა თავიანთ კოლექტივებს ჩათვლა საქართველოს ჩემპიონატში ნაჩვენები შედეგებით მისცეს. საბოლოოდ გუნდურ ჩათვლაში პირველობა „ბურევესტნიკის" ნაკრებს (3 ვაჟი, 3 ქალი) დარჩა — 12672 ქულა. II ადგილზე გავიდნენ სპარტაკელები — 11848, III ადგილზეა „კოლმეურნის" ნაკრები — 10761.

„განთიადმა" 5 სპორტსმენი გამოიყვანა, ხოლო „ვოდნიკმა" — 4. „შრომითი რეზერვები" კი საერთოდ ასპარეზობის მიღმა დარჩა.

შეჯიბრების ულიდერებოდ ჩატარებამ ინტერესიც გაანელა და შედეგებზეც იმოქმედა: „მ-2" ვარჯიშის ჯამში სპორტის ოსტატის ნორმატივი მარტო სპარტაკელმა ვ. ტროპინმა აჩვენა — 2186 ქულა. ყველა სხვა პრიზიორი სპორტის ოსტატობის კანდიდატის შედეგს დასჯერდა. ვაჟთა შორის II ადგილზე გავიდა თ. კვანტრიშვილი („განთიადი") — 2099, III — ვ. ლევკეიშვილი („სპარტაკი") — 2023.

ქალებში სპარტაკიადის პრიზიორები გახდნენ: მ. ბუხაიძე („განთიადი", პირადი) — 2096, გ. გონგაძე („სპარტაკი") — 2045, ნ. კულინიჩი („კოლმეურნე")—1964.

ც. ძიმისტარიშვილი.

სსრ კავშირის პირველობა

ბაქოში

20 ოქტომბერს დამთავრდა უმაღლესი ლიგის წყალბურთელთა გუნდების საკავშირო პირველობა, რომლის მონაწილენიც VII-XII ადგილებს ეცილებოდნენ ერთმანეთს.

18 ოქტომბრის შეხვედრები ასე დასრულდა: „დინამო" (ალმა-ათა) — „ბალტიკა" (ლენინგრადი) 7:4, „სპარტაკი" (ვოლგოგრადი) — „ტორპედო" (მოსკოვი) 5:4, კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილია (ბაქო) — „დინამო" (ხარკოვი) 8:7.

19 ოქტომბერი. „დინამო" (ხარკოვი) — „დინამო" (ალმა-ათა) 4:3, „ტორპედო" — „ბალტიკა" 5:7, „სპარტაკი" — კწფ (ბაქო) 7:8.

20 ოქტომბერი. „დინამო" (ხარკოვი) — „ბალტიკა" 4:4, „დინამო" (ალმა-ათა) — „სპარტაკი" 8:4, კწფ — „ტორპედო" 7:5.

სამი ტურის ჯამში საუკეთესო შედეგს მიაღწიეს ბაქოელებმა — 23 ქულა. შემდეგ მოდიან: „ბალტიკა" — 22 ქულა, „სპარტაკი" — 19, „დინამო" (ალმა-ათა) — 16.

საგაისოდ უმაღლეს ლიგას გამოეთხოვნენ ხარკოვის „დინამო" (13 ქულა) და მოსკოვის „ტორპედო" (12).

წყალბურთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობა

უმაღლესი ლიგა

ტური გადატანილია

სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის 27-ე ტურის მატჩები, რომლებიც უნდა შემდგარიყო 25, 26 და 27 ოქტომბერს, გადატანილია. ამ შეხვედრათა თარიღები ცალკე გამოცხადდება.

I ლიგა

22 ოქტომბერს შედგა მორიგი ტურის შეხვედრები.

ქუთაისის ტორპედოელები კემეროვოში შეხვდნენ ადგილობრივ „კუზბასს". მატჩი დამთავრდა „კუზბასის" გამარჯვებით — 1:0.

სხვა მატჩების შედეგები ასეთია: „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) — „სპარტაკი" (ივანო-ფრანკოვსკი) 2:2, „მეტალურგი" (ლიპეცკი) — „ტავრია" (სიმფეროპოლი) 0:3, „შინნიკი" (იაროსლავლი) — ასკ (დონის როსტოვი) 0:1, „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) — „ყუბანი" (კრასნოდარი) 0:1, „დინამო" (მინსკი) — „სპარტაკი" (ნალჩიკი) 5:1, „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) 4:0, „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) — „პამირი" (დუშანბე) 3:0, „ზვეზდა" (პერმი) — „სტროიტელი" (აშხაბადი) 1:1, „ურალმაში" (სვერდლოვსკი) — „ნეფთჩი" (ბაქო) 2:1.

II ლიგა III ზონა

22 ოქტომბერს შედგა ბოლო ტურის შეხვედრები.

„დინამო" (ზუგდიდი) — „ფოლადი" (სუმგაითი) 4:1

ზუგდიდელმა ფეხბურთელებმა, რომლებსაც უკვე გადაწყვეტილი ჰქონდათ ლიგაში დარჩენის საკითხი, ბოლო შეხვედრაც მონდომებით ჩაატარეს და ღირსეულადაც გაიმარჯვეს.

ანგარიში 27-ე წუთზე გახსნა დინამოელთა თავდამსხმელმა გადელიამ. მასპინძლები განაგრძობდნენ იერიშებს, მაგრამ „ფოლადის" ერთ-ერთი კონტრშეტევისას ზვანბაია შეცდა და საკუთარ კარში მოათავსა ბურთი — 1:1.

შესვენების შემდეგ ინიციატივა კვლავ ზუგდიდელთა მხარეს იყო. სტუმრების კარში გადელიამ, გაბლიამ და კვლავ გადელიამ კიდევ სამი ბურთი გაიტანეს და დიდი ანგარიშით გამარჯვება მოუტანეს თავიანთ გუნდს.

ამ მატჩში საუკეთესო მოთამაშეებისთვის დაწესებული პრიზები გადაეცათ ზუგდიდელებს გადელიას და ქვარაიას, აგრეთვე, სუმგაითელ მამედოვს.

ბ. ალშიბაია.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

სხვა მატჩები

ასე დამთავრდა: „კალიტვა" (ბელაია კალიტვა) — „დინამო" (კიროვაბადი) 0:0, „კოლხეთი" (ფოთი) — „შირაკი" (ლენინაკანი) 3:3, „გურია" (ლანჩხუთი) — „ლორი" (კიროვაკანი) 7:1, „ტორპედო" (ვლადიმირი) — „დინამო" (ბათუმი) 3:1, „ხიმიკი" (ძერჟინსკი) — „მერცხალი" (მახარაძე) 0:0, „ხიმიკი" (ნოვომოსკოვსკი) — „დილა" (გორი) 1:3, „დინამო" (ვოლოგდა) — „ლოკომოტივი" (სამტრედია) 1:0, „ისკრა" (სმოლენსკი) — „დინამო" (ბრიანსკი) 1:1, „დინამო" (სტავროპოლი) — „ურალანი" (ელისტა) 2:0.

საქართველოს ჩემპიონატი

გაიმართა მორიგი შეხვედრები.

I ჯგუფი

● „ლოკომოტივი" (თბილისი) — „მეტალურგი" (რუსთავი) 1:0. მსაჯი ლ. ლონდაძე (თბილისი).

„მილიონთა თასის" მფლობელმა — რუსთავის „მეტალურგმა" დიდი წარმატების შემდეგ პირველი მატჩი ჩაატარა რესპუბლიკის პირველობაზე და თავის შესაძლებლობებზე გაცილებით სუსტად ითამაშა. „ლოკომოტივის" დაცვამ შეძლო მეტოქის უსისტემო იერიშების მოგერიება, ამასთან უზუსტოდ ურტყამდნენ კარში სტუმართა თავდამსხმელები. მატჩის დასასრულს ლოკომოტიველთა ერთ-ერთი კონტრშეტევა გოლით დაამთავრა სანაძემ და თბილისელებმა გამარჯვება ჩაიწერეს გათამაშების ცხრილში.

ერთმანეთთან ჩხუბისთვის მინდვრიდან გააძევეს თბილისელი შ. ახალაია და რუსთაველი თ. შენგელია.

● „დინამო" (სოხუმი) — „მეშახტე" (ტყიბული) 6:1. მსაჯი ლ. ლონლაძე (თბილისი).

დინამოელებმა სრული უპირატესობით ჩაატარეს მატჩი და დიდი ანგარიშითაც გაიმარჯვეს. 3 ბურთი გაიტანა ანასტასიადიმ, თითო — ხარტაკოპულომ, ბოხაშვილმა და კაკულიამ. „მეშახტიდან" საპასუხო ბურთის გატანა შეძლო თოდრიძემ.

უხეში თამაშისთვის გაფრთხილებულია სოხუმელი ნ. ბოხაშვილი.

● „ამირანი" (ოჩამჩირე) — „სპარტაკი" (ცხინვალი) 3:0. მსაჯი თ. ლაცაბიძე (თბილისი).

ოჩამჩირელებმა კარგად ითამაშეს და დამსახურებულადაც გაიმარჯვეს (დარასელია — 2, ჭითანავა).

ცხინვალელი ფეხბურთელი მ. რომელაშვილი გინებისთვის ჯერ გააფრთხილეს, ხოლო შემდეგ მსაჯმა იგი მინდვრიდან გააძევა.

● „სულორი" (ვანი) — „შუქურა" (ქობულეთი) 2:3. მსაჯი ო. ალავიძე (თბილისი).

● ასკ (თბილისი) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) 0:0. მსაჯი ნ. წურქავა (ფოთი).

არმიელთა საგრძნობ ტერიტორიულ უპირატესობას შედეგი არ მოჰყოლია, ვინაიდან საიმედოდ, მწყობრად ითამაშა „მეტალურგის" დაცვამ.

მსაჯთან კამათისთვის გაფრთხილებული არიან თბილისელთა მეკარე ნ. ცხოვრებოვი და ზესტაფონელი ჯ. კვინიკაძე (ეს მისთვის მეორე გაფრთხილებაა წლეულს).

● „ივერია" (ხაშური) — „კახეთი" (თელავი) 2:0. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).

მასპინძლებმა მეტად საჭირო გამარჯვების მოპოვება შეძლეს მეორე ტაიმში (ბანცაძე, ბედოევი).

● „ვარძია" (ასპინძა) — „მეტალურგი" (რუსთავი) 0:1. მსაჯი თ. ფანიაშვილი (თბილისი).

გოლი მე-60 წუთზე გაიტანა გოგუაძემ.

მსაჯთან კამათისთვის გაფრთხილებული არიან რუსთაველი ზ. გაგუა და ასპინძელი პ. წამალაშვილი. ეს უკანასკნელი მესამე გაფრთხილებას ღებულობს წლეულს.

● „მაღაროელი" (ჭიათურა) — „სალხინო" (გეგეჭკორი) 1:0. მსაჯი ვ. მიმინოშვილი (თბილისი).

ორივე გუნდს საკმაოდ ჰქონდა ხელსაყრელი მომენტები, მაგრამ გოლით დამთავრდა მხოლოდ ერთი: 25-ე წუთზე შელიას დარტყმამ მიზანს მიაღწია.

● „ლოკომოტივი" (თბილისი) — „განთიადი" (თბილისი) 1:1. მსაჯი რ. ფანჯარაშვილი (თბილისი).

ანგარიში გახსნა განთიადელმა აზარაშვილმა, ხოლო შესვენების შემდეგ ნემსაძემ თანაფარდობა აღადგინა.

● „ეგრისი" (ცხაკაია) — „კოლხეთი" (ხობი) 2:1. მსაჯი ჟ. ძნელაძე (თბილისი).

თამაში მიმდინარეობდა საინტერესოდ, სწრაფად. მე-7 წუთზე დაწინაურდნენ ცხაკაიელები (ლ. დარასელია), წუთის შემდეგ კი ხობელთა მცველმა ზ. ქარაიამ ანგარიში გაათანაბრა. 23-ე წუთზე მურღულიამ მეორედ აიღო ხობელთა კარი და ეს გოლი გადამწყვეტი აღმოჩნდა.

● ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ქართლი" (გორის რაიონი) 5:3. მსაჯი ნ. წურქავა (ფოთი).

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 23 ოქტომბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მაღარ."	30	20	4	6	60—18	44
„დინამო"	31	16	7	8	62—33	39
„მეტალურგი" (რუსთავი)	25	16	6	3	50—16	38
ასკ (თბ.)	31	15	8	8	61—40	38
„ლოკომ."	31	14	10	7	49—36	38
„სალხინო"	30	13	11	6	46—28	37
„ეგრისი"	30	15	6	9	49—31	36
ფიზკ. ინსტ.	28	14	6	8	54—40	34
„ამირანი"	30	13	6	11	36—35	32
„შუქურა"	31	11	9	11	39—33	31
„მეტალურგი" (ზესტაფ.)	30	11	9	10	44—40	31
„კახეთი"	31	11	7	13	45—50	29
„ქართლი"	30	11	6	13	53—55	28
„მეშახტე"	31	11	6	14	42—57	28
„კოლხეთი"	31	8	10	13	37—47	26
„განთიადი"	31	7	9	15	37—54	23
„ვარძია"	31	9	4	18	30—50	22
„ივერია"	30	8	4	18	31—60	20
„სულორი"	31	6	6	19	31—85	18
„სპარტაკი"	31	4	4	23	29—77	12

II ჯგუფი

I ზონა

„არაგვი" (დუშეთი) — „ალაზანი" (გურჯაანი) 6:4, „განახლება" (ადიგენი) — „დურუჯი" (ყვარელი) 1:1, „მესხეთი" (ახალციხე) — „კოლმეურნე" (ბორჯომი) 3:2, „განთიადი" (კასპი) — „მადნეული" (ბოლნისი) 2:0. ქარელის „ყინწვისს" მოგება ჩაეთვალა სიღნაღის „ცისკართან".

II ზონა

„კოლმეურნე" (გულრიფში) — „სქური" (წალენჯიხა) 1:2, „კოლმეურნე" (წულუკიძე) — „მზიური" (გალი) 3:0, „გიგანტი" (ლაითური) — „იმერეთი" (თერჯოლა) 4:0, „ბახმარო" (ჩოხატაური) — ხის დამმუშავებელი კომბინატი (სამტრედია) 1:1, „განთიადი" (აბაშა) — „კოლმეურნე" (წულუკიძე) 0:1.

ზონალური გათამაშება

გაიმართა ზონალური გათამაშების ფინალისტთა მორიგი შეხვედრები: „მშენებელი" (ჭიათურა) — „მშენებელი" (ბათუმი) 0:0, „არაგვი" (მცხეთა) — „თრიალეთი" (წალკა) 2:1, „პოლიტექნიკოსი" (საგარეჯო) — „ქიმიკოსი" (ახმეტა) 3:0.

ბათუმელები და გორელები ფინალში გავიდნენ

დამთავრდა „ა" კლასის II ლიგის III ზონის გუნდების საკავშირო გათამაშება. წარმატებას მიაღწიეს ვლადიმირის „ტორპედომ", ბათუმის „დინამომ" და გორის „დილამ", რომლებიც ითამაშებენ ზონებში I-III ადგილებზე გასული გუნდების ნახევარფინალურ ტურნირში.

გათამაშების ცხრილები

II ჯგუფი

მდგომარეობა 23 ოქტომბრისთვის

I ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დურუჯი" (ყვარელი)	19	13	5	1	55—14	33
„განთიადი" (კასპი)	21	12	3	6	47—28	27
„მესხეთი" (ახალციხე)	22	12	2	8	51—34	26
„ალაზანი" (გურჯაანი)	20	10	5	5	55—42	25
„მადნეული" (ბოლნისი)	21	8	8	5	36—36	24
„ჰერეთი" (ლაგოდეხი)	21	9	4	8	36—39	22
„განახლება" (ადიგენი)	21	8	6	7	29—32	22
„არაგვი" (დუშეთი)	21	8	4	9	55—56	20
„კოლმეურნე" (ბორჯომი)	21	8	4	9	42—46	20
„ყინწვისი" (ქარელი)	21	6	3	12	32—41	15
„სამცხე" (აწყური)	20	3	6	11	32—64	12
„ცისკარი" (სიღნაღი)	20	1	2	17	14—52	4

II ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„იმერეთი" (თერჯოლა)	19	14	2	3	61—25	30
„კოლმეურნე" (წულუკიძე)	18	12	4	2	39—16	28
„სქური" (წალენჯიხა)	19	10	4	5	41—24	24
„გიგანტი" (ლაითური)	16	9	4	3	44—14	22
ხის დამმუშ. კომბ. (სამტრედია)	20	8	5	7	46—45	21
„ბახმარო" (ჩოხატაური)	19	5	6	8	33—34	16
„სამგურალი" (წყალტუბო)	19	3	9	7	30—42	15
„მზიური" (გალი)	18	4	6	8	27—43	14
„ჩიხურა" (საჩხერე)	18	5	3	10	18—39	13
„კოლმეურნე" (გულრიფში)	18	4	3	11	22—49	11
„განთიადი" (აბაშა)	20	2	6	12	20—50	10

შოთა შავგულიძის სახელობის თასზე

27 ოქტომბერს იწყება სპორტის დამსახურებული ოსტატის შ. შავგულიძის სახელობის თასის გათამაშება რესპუბლიკის „ა" კლასის II ლიგის გუნდებს შორის.

პირველ დღეს ერთმანეთს ხვდებიან „გურია" (ლანჩხუთი) — „კოლხეთი" (ფოთი), „ლოკომოტივი" (სამტრედია) — „დინამო" (ზუგდიდი).

ფინალები დაიწყო

მეხიკო, 23 ოქტომბერი. (საკდესი). სსრ კავშირის ქალთა ნაკრებმა გვადალახარაში ფრენბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის პირველი მატჩი მოუგო სამხრეთ კორეის გუნდს — 3:0 (16:14, 23:21, 15:3).

ვაჟები მექსიკის დედაქალაქში ასპარეზობენ. საბჭოთა სპორტსმენები დამარცხდნენ ფავორიტებთან — პოლონელ ფრენბურთელებთან, რომლებსაც ჯერ არც ერთი მატჩი არ წაუგიათ — 2:3 (14:16, 15:9, 6:15, 15:12, 7:15).

ფინალის დანარჩენ მატჩებში იაპონიის ქალთა ნაკრებმა აჯობა გდრ-ის სპორტსმენებს — 3:0. რუმინეთის ქალთა გუნდმა ასეთივე ანგარიშით დაამარცხა უნგრელები.

გდრ-ის ვაჟთა ნაკრებმა მოუგო ჩეხოსლოვაკიის გუნდს — 3:2, ხოლო იაპონელებმა ასეთივე ანგარიშით დაამარცხეს რუმინეთის ვაჟთა კოლექტივი.

ფრენბურთი

დიდი ინტერესით...

თელავის ავტო-მოტოკლუბის თაოსნობით ამ ქალაქში ჩატარდა მოტობურთელთა ტურნირი „თელავის თასზე". შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ თბილისის „ივერია", ქუთაისის „კოლხეთი", ბოლნისის „შევარდენი" და თელავის „ალაზანი".

თბილისელებმა ყველა შეხვედრა მოიგეს: „ალაზანს" სძლიეს ანგარიშით 2:1, „კოლხეთს" — 7:0, „შევარდენს" — 4:1 და თასი დაისაკუთრეს.

„ალაზანმა", „კოლხეთმა" და „შევარდენმა" თანაბარი ქულები დააგროვეს. ბურთების უკეთესი ბალანსის გამო II ადგილი მასპინძლებს მიეკუთვნათ. ბოლნისელები III ადგილზე გავიდნენ.

შეჯიბრებამ, რომელიც მაღალ დონეზე ჩატარდა, თელაველ სპორტის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია: ყოველდღიურად ტურნირის საყურებლად 3 ათასამდე კაცი იყრიდა თავს.

ვ. ხაჩიძე.

თელავი.

• • •

სურათზე: თბილისისა და თელავის გუნდების შეხვედრის მომენტი.

ხ. ვართანიანცის ფოტო.

(ჩვენი სპეც. კორ.).



ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი თბილისური რეკორდის ისტორია

სპორტში ყველა ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვან მოვლენას თავისი ისტორია აქვს. იდეის ჩასახვა, მომწიფება და შემდგომი განვითარება ერთგვარი ლოგიკური ჯაჭვია, რომელიც, ამავე დროს, კონკრეტულ ადამიანთა ნება-სურვილს, სიმტკიცესა და რწმენას გამოხატავს. ასეთი მოვლენა უეჭველად ნოყიერ ნიადაგზე უნდა აღმოცენდეს, როგორც ადამიანის სულიერი და ფიზიკური ძლიერების ნაყოფი. სხვაგვარად ისტორია არ შეიქმნება.

ამ რამდენიმე დღის წინათ თბილისის ცენტრალურ ველოტრეკზე ორი მსოფლიო რეკორდი დაემხო სალიდერო რბოლაში. ეს დიდი მოვლენაა ველოსპორტის ისტორიაში. საბჭოთა სპორტსმენების გვარები პირველად ჩაიწერება სალიდერო რბოლის ოსტატთა მსოფლიო რეკორდების ცხრილში. სამამულო ველოსპორტმა იმ დღეს კიდევ ერთი ნაბიჯით წაიწია წინ და მსოფლიო რეკორდების რუკაზე სამახსოვრო ნიშანი გააკეთა.

ვის დაებადა პირველად ეს თამამი იდეა, ჩვენთვის კარგადაა ცნობილი. საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი და სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი სალიდერო რბოლაში მიხეილ ამირაგოვი თავის ჩანაფიქრს დიდხანს საიდუმლოდ ატარებდა. მისი მთავარი ამოცანა, იდეის ჩამოყალიბების პროცესი ასეთი იყო: მოენახა ღირსეული პარტნიორი ვლადიმერ პოპოვისთვის, სპორტსმენისთვის, რომელიც მწვრთნელის შეგნებაში უკვე პოტენციური მსოფლიო რეკორდსმენი გახლდათ.

ბევრი ფიქრისა და ანალიზის შემდეგ მწვრთნელმა არჩევანი მოსკოველ გიორგი ტრავკინზე შეაჩერა. ტრავკინის, როგორც ლიდერის კანდიდატურა, მოსაწონი იყო და აი, რატომ: იგი გამოცდილი მოტოციკლისტია — ეს ეჭვს არ იწვევდა: 19 წელი შესწირა სალიდერო რბოლას და მე-20 წლის დამდეგს თავი მიანება სპორტს; ტრავკინი ბევრჯერ იყო სსრ კავშირის ჩემპიონატების პრიზიორი, მაგრამ არც ერთხელ არ მოუპოვებია უმაღლესი ტიტული... ცხადია, ხელსაყრელ პარტნიორთან იგი შეეცდებოდა ამ ამოცანის შესრულებას.

— მე მყავს შენთვის შესაფერისი მეწყვილე, — უთხრა ერთხელ ტრავკინს ამირაგოვმა. — კარგი ბიჭია, ენერგიული, ჯიუტი, ივარჯიშეთ ერთად, იქნებ რაიმე გამოგივიდეთ.

უფრო კონკრეტულად მას თავისი განზრახვა არ გამოუთქვამს. ვინ იცის, იქნებ ხასიათი გამოადგეთ სხვადასხვა, რატომ უნდა ვატკინო გული რომელიმესო, ფიქრობდა.

ერთმანეთი სულ მალე გაიცნეს. ამ გაცნობის აღსანიშნავად ტრავკინის ჯილდოების კოლექცია კიდევ ერთი ვერცხლის მედლით გამდიდრდა. ახალგაზრდა ველოსიპედისტი ბედნიერი იყო ამ წარმატებითაც, ლიდერსა და მწვრთნელს კი, რომ იტყვიან, მადა გაეღვიძათ.

წლეულს პოპოვმა და ტრავკინმა სამი დიდი გამარჯვება იზეიმეს ერთად. ჯერ იყო და „ნოგინსკის დიდი პრიზი" მოიგეს, შემდეგ ი. სმირნოვის სახელობის ჯილდო დაიმსახურეს და ბოლოს იმავე ნოგინსკში სსრ კავშირის ჩემპიონობა მოიპოვეს. ასე უცბად, სულ რაღაც ორ წელიწადში, „ახალბედა წყვილი" საბჭოთა სალიდერო რბოლის ფავორიტი გახდა.

ახლა კი მწვრთნელს უფრო თამამად შეეძლო ლაპარაკი თავის განზრახვაზე. მაგრამ ჩანაფიქრის შესრულებას წინ ბევრი ტექნიკური დაბრკოლება გადაეღობა. გამოირკვა, რომ რეკორდის დამყარებისთვის საბჭოთა კავშირში ლიმიტირებული არ არის მოტოციკლის კუბატურა. საბჭოთა სტაიერები მეტწილად იყენებენ 1200 კბ სმ მოცულობის ძრავს, მსოფლიო რეკორდების რეგისტრაცია კი 500-დან 1000-მდე კბ სმ მოცულობისძრავიანი მოტოციკლებით ხდება. საჭირო გახდა სპეციალური მოტოციკლის შექმნა, სადაც, ამავე დროს, ყველა სხვა ტექნიკური ნორმაც დაცული იქნებოდა.

ამირაგოვს რამდენიმეჯერ მოუხდა მოსკოვში გაფრენა ნახაზებისთვის, სანამ ახალი მოტოციკლი შეიქმნებოდა.

რეკორდებისთვის სამზადისმა ერთი კურიოზული ამბავი გამოავლინა: თურმე საბჭოთა კავშირის რეკორდები მსოფლიოს ოფიციალურ მიღწევებზე უკეთესი ყოფილა. ამის მიზეზის მიგნება ძნელი არ იყო: საბჭოთა რეკორდსმენები, როგორც აღვნიშნეთ, უმთავრესად 1200 კბ სმ მოცულობისძრავიანი მოტოციკლებით ასპარეზობდნენ, იმ დროს, როცა უცხოელებისთვის, ვიმეორებთ, მოტორის სიმძლავრე მკაცრად იყო ლიმიტირებული.

დადგა პირველი იერიშის დღე, 1974 წლის 16 ივნისი. აი, როგორ იგონებს იმ დღეს მ. ამირაგოვი: „ყველაფერი თითქოს მზადა გვაქვს. შევადგინეთ რბოლის გრაფიკი, რომლის თანახმად პოპოვმა მსოფლიო რეკორდზე ერთი წუთით უკეთ უნდა იაროს. თავდაპირველად ყველაფერი გეგმით წარიმართა, მაგრამ, როგორც ჩანს, გრაფიკის შედგენაში დაშვებულმა შეცდომამ ჩვენი გეგმები არია. პოპოვმა ვერ გაუძლო საწყის ტემპს და რბოლა შეწყვიტა".

ეს მწარე გაკვეთილი რომ არა, მსოფლიო რეკორდები იქნებ ვერც დაემყარებინათ. ახალი გრაფიკის შედგენისას გაითვალისწინეს ყველა ძველი შეცდომა. სავარაუდო ნამატი მსოფლიო რეკორდთან მხოლოდ 7 წამით განისაზღვრა (პირველ ცდაზე იგი 1 წუთს უდრიდა). ამრიგად, თუ მწვრთნელისა და სპორტსმენების ვარაუდი გამართლდებოდა, ახალი მსოფლიო რეკორდი 41 წუთისა და 29 წამის ფარგლებში უნდა გვეძებნა.

19 ოქტომბერი, რეკორდების გაუმჯობესების მეორე ცდის დღე... ჯერ დაემხო რეკორდი 50-კილომეტრიან დისტანციაზე — 41.17,82 (იტალიელი ე. კასტოლდის ძველი მიღწევა 41.36.00 იყო), მერე კი ერთსაათიან რბოლაში — 72 კმ, 804 მ. 1 სმ (ძველი რეკორდი იმავე კასტოლდის ეკუთვნოდა — 72 კმ, 247 მ. 42 სმ).

რეკორდები კი დაემხო, მაგრამ მათი ოფიციალური აღიარებისთვის საჭირო გახდა უამრავი ფორმალობის დაცვა: მანქანის შემოწმებიდან დაწყებული, სადოპინგო კონტროლით დამთავრებული. ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის მიერ დაწესებულ ოფიციალურ პროცედურაში მონაწილეობა მიიღეს იტალიელმა და საბჭოთა მსაჯებმა საერთაშორისო კავშირის სპეციალური კომისრის ე. ტამარინის მეთაურობით. მხოლოდ ამის შემდეგ შედგა ოქმი, რომელიც დასამტკიცებლად გადაეგზავნება საერთაშორისო კავშირს.

ნ. გუგუშვილი.

ფატალიბეკოვა — სსრ კავშირის ახალი ჩემპიონი

მოსკოვის ჩემპიონს ე. ფატალიბეკოვას ც. კობაიძესთან XVIII ტურის შეხვედრაში მხოლოდ ყაიმი სჭირდებოდა სსრ კავშირის ჩემპიონის სახელის მოსაპოვებლად. მან ამ მიზნის მისაღწევად თადარიგი თავიდანვე დაიჭირა, როცა ესპანური პარტია გაითამაშა. ფატალიბეკოვამ მალე შემტევი კუ გაცვალა, მას ეტლები მიაყოლა და სრულიად თანაბარ პოზიციაში, მე-19 სვლაზე მეტოქეს ზავი შესთავაზა. კობაიძემ წინადადება მიიღო.

სსრ კავშირის ახალი ჩემპიონი ელენა ფატალიბეკოვა, რომელიც უწინ რუბცოვას გვარით გამოდიოდა, საჭადრაკო სამყაროში კარგად ცნობილი ოსტატია. იგი მოჭადრაკეთა ოჯახიდანაა. დედამისი ოლგა რუბცოვა 1956-1958 წლებში მსოფლიო ჩემპიონი იყო.

საკავშირო ჩემპიონატის ფინალში ფატალიბეკოვას დებიუტი თბილისში შედგა 1964 წელს. მას სხვა დროსაც წარმატებით უთამაშია ჩვენს დედაქალაქში. ორიოდე წლის წინათ ელენამ თავისი ცხოვრება დაუკავშირა თბილისელ ჟურნალისტს ა. ფატალიბეკოვს, რომელიც ამჟამად მოსკოვში ცხოვრობს და ცენტრალურ ტელევიზიაში მუშაობს რედაქტორად.

ელენამ დიდი აღმავლობით ითამაშა. იგი პირველი ტურიდანვე ლიდერობდა ძნელ შეჯიბრებას და მხოლოდ ამ დიდი გზის მეორე მონაკვეთში უკლო ტემპს. პირველ ცხრა ტურში მან 8,5 ქულა მოაგროვა, შემდგომ რვა პარტიაში — 5,5, ახლა კი სათამაშო აქვს დასკვნითი, XIX ტურის პარტია.

მძაფრი ბრძოლა მიმდინარეობს II-III ადგილებისთვის. მ. შულმა (ლვოვი), რომელიც ვერცხლის მედლისთვის იბრძვის, რ. ბილუნოვას (მოსკოვის ოლქი) რთულ ენდშპილში შესთავაზა თამაში. პარტია დაუმთავრებელი დარჩა ლვოველი მოჭადრაკისთვის ოდნავ უკეთეს პოზიციაში.

დიდი მონდომებით იბრძოდა ვ. კოზლოვსკაიაც (პიატიგორსკი). მ. სამული (ტალინი) ვერ გაერკვა მსუბუქი ფიგურების ენდშპილში, რომელიც თანაბარი ჩანდა, და უპაიკოდ დარჩა. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ შეხვედრა ყაიმით დამთავრდებოდა, მაგრამ კოზლოვსკაიამ შორსმჭვრეტელობა გამოიჩინა. პარტია გადაიდო, მაგრამ მისი ბედი ნათელია. კოზლოვსკაია მოიგებს.

ბრინჯაოს მედლის მაძიებელთა შორის არის მ. ჩიბურდანიძეც. ნორჩმა ოსტატმა ე. ბახრეხის (მოსკოვი) პოზიცია 26 სვლაში გაანადგურა. მაყურებლებს ისე მოეწონათ მისი იერიში, რომ ტაშით დააჯილდოვეს.

უნდა ითქვას, რომ დასკვნითი ტურები გულშემატკივრებით გაჭედილ დარბაზში მიმდინარეობს. მაყურებელთა შორის არიან მსოფლიო ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი, პრეტენდენტთა ფინალური მატჩის მონაწილე ნ. ალექსანდრია, საერთაშორისო ოსტატი ა. ჩაიკოვსკაია, დიდოსტატები ი. ბონდარევსკი, ი. ბოლესლავსკი, საერთაშორისო ოსტატი ი. ნეი... აქ შეხვდებით ბათუმიდან, ქუთაისიდან, ზუგდიდიდან, გორიდან და სხვა ქალაქებიდან ჩამოსულ ჭადრაკის მოყვარულებს.

გონებამახვილური ტაქტიკური მანევრით თ. გოლოვეიმ (მინსკი) ეტლი მოუგო ტ. მოროზოვას (ლვოვი) და გაიმარჯვა. თ. ხუგაშვილი დამარცხდა ა. კისლოვასთან (ომსკი), ტ. პოპოვა — ნ. მედიანიკოვასთან (ორივე — მოსკოვი). ყაიმით დასრულდა ა. გრინფელდ (კალინინგრადი) — ტ. კოსტინას (მინსკი) შეხვედრა. რთულ პოზიციაში შეწყდა ტალინელი მოჭადრაკეების ტ. ფომინას და მ. რანიკუს შეხვედრა.

18 ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილში ლიდერთა მდგომარეობა ასეთია: ე. ფატალიბეკოვა — 13,5 ქულა, მ. შული — 11 ქულა და 1 გადადებული პარტია, მ. ჩიბურდანიძე — 10,5, ვ. კოზლოვსკაია — 10 (1), ა. გრინფელდი — 10.

დღეს გაიმართება დასკვნითი, XIX ტური. დიდ ინტერესს იწვევს შეხვედრები: შული — გრინფელდი და ჩიბურდანიძე — მედიანიკოვა.

თ. გიორგაძე.



„კალევი" — ორივე ფრონტზე

ტალინში ჩატარდა პროფკავშირების კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ პოპულარული კლუბები: ლენინგრადის „სპარტაკი", ტარტუს „კალევი", ვილნიუსის „სტატიბა", კაუნასის „ჟალგირისი", მინსკის რტი და რიგის ვეფ-ი. მთავარი პრიზისთვის ბრძოლა ძირითადად ადგილობრივ კალათბურთელებსა და ლენინგრადის „სპარტაკს" შორის გაჩაღდა. გამარჯვებული გამოვლინდა ამ კოლექტივების შეხვედრაში.

პირველი ტაიმი ნევისპირელებმა უფრო ძლიერ ჩაატარეს და 14 ქულის სხვაობით მოიგეს — 48:34. შესვენების შემდეგ მასპინძლები გააქტიურდნენ. ორმა ტანმაღალმა ცენტრალურმა თავდამსხმელმა (აბელიანოვი და მოროზოვი), რომლებიც საგანგებოდ საკავშირო ჩემპიონატისთვის მიიწვიეს ესტონელებმა, მეორე ტაიმის მთელი სიმძიმე თავის თავზე გადაიტანა. 32-ე წუთისთვის ანგარიში გათანაბრდა — 60:60. მერე კი დაწინაურდა „კალევი", რომელმაც ბოლომდე შეინარჩუნა უპირატესობა და გაიმარჯვა — 73:70.

ტურნირის მთავარი ჯილდო ესტონელებმა დაისაკუთრეს. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ: „სპარტაკი", რტი, „სტატიბა", „ჟალგირისი" და ვეფ-ი.

ამ ასპარეზობის პარალელურად ჩატარდა დუბლიორთა ტურნირი, რომელიც ასევე „კალევმა" მოიგო.

ლილიანა რონკეტის თასი

ევროპის კალათბურთელთა ტურნირებს შორის პოპულარობით სარგებლობდა კონტინენტის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშება ქალთა გუნდებისთვის. ჯილდოს ზედიზედ სამ წელიწადს ლენინგრადის „სპარტაკი" ფლობდა. ახლა ეს ასპარეზობა გაუქმდა. სამაგიეროდ, იტალიის კალათბურთის ფედერაციის თაოსნობით დაარსდა ახალი ტურნირი — წარსულში ცნობილი სპორტსმენის ლილიანა რონკეტის თასი. შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყოველი ქვეყნის ორ გუნდს.

თასის პირველ გათამაშებაში ასპარეზობს 30 კოლექტივი. ლენინგრადის „სპარტაკი" პირდაპირ მეოთხედფინალშია დაშვებული.

გაიმართა პირველი მატჩები: „მინიორი" (ბელგია) — ატვ (გფრ) 83:61 (45:32), „ლა კორუნია" (ესპანეთი) — „ნიონი" (შვეიცარია) 54:53 (27:23), „ალოსტი" (ბელგია) — „ბერნი" (შვეიცარია) 66:51 (37:27), „სელტა" (ესპანეთი) — სიფ-ი (ლისაბონი) 40:27 (19:14).

ჩოგბურთის კორტებზე

ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ფინიქსში (არიზონის შტატი) დიდი ინტერესი გამოიწვია ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირმა, რომელშიც ცნობილი სპორტსმენები მონაწილეობდნენ. ბრწყინვალე წარმატებას მიაღწია ვირჯინია უეიდმა (დიდი ბრიტანეთი), რომელმაც ნახევარფინალურ მატჩში ანგარიშით 7:5, 6:1 სძლია ამერიკელ ბილი-ჯინ კინგს, გადამწყვეტ შეხვედრაში კი ავსტრალიელ ქელენ ბურლეის აჯობა — 6:1, 6:2.

წყვილთა თანრიგში გაიმარჯვეს ბეტი სტოუზმა (ჰოლანდია) და ფრანსუაზა დურმა (საფრანგეთი). მათ ფინალური მატჩი მოუგეს მონა შალაუს და პემ ტიგარდენს (ორივე — აშშ) — 6:3, 5 7, 6:3.

ტოკიოში გამართულმა იაპონიის ღია ჩემპიონატმა მსოფლიოს ბევრი საუკეთესო ჩოგბურთელს მოუყარა თავი. ვაჟთა შორის ყველას აჯობა ავსტრალიელმა ჯონ ნიუკომბმა, რომელმაც ფინალში თანამემამულე კენ როზუოლი დაამარცხა — 3:6, 6:2, 6:3.

ქალთა ასპარეზობაში I ადგილი დაიკავა დიდ ჩოგბურთში ხუთწლიანი „შესვენების" შემდეგ ახლახან დაბრუნებულმა მარია ბუენომ (ბრაზილია). გადამწყვეტ მატჩში მან კატი ებინგჰაუზს (გფრ) აჯობა — 3:6, 6.4, 6.3.

დიდი საერთაშორისო ტურნირი ჩატარდა მადრიდში. საუცხოოდ იასპარეზა თბილისელთათვის კარგად ცნობილმა რუმინელმა ჩოგბურთელმა ილიე ნასტასემ. ჯერ იყო და მან ნახევარფინალში მოუგო არგენტინელ გილიერმო ვილასს (6:1, 1:6, 6:1, 6:1), მერე კი ფინალში უაღრესად დაძაბულ, სამსაათიან ბრძოლაში გასტეხა შვედი ბიორნ ბორგის წინააღმდეგობა — 6:4, 5:7, 6:2, 4:6, 6:4.

ფეხბურთი

ბრძოლა დაძაბული იქნება

რამდენიმე დღის წინათ ცნობილი გახდა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში საბჭოთა გუნდის მეტოქის — ირლანდიის ფეხბურთელთა ნაკრების შემადგენლობა. ეს გუნდები, როგორც იცით, 30 ოქტომბერს დუბლინში შეხვდებიან ერთმანეთს.

მასპინძლების შემადგენლობა ამ მატჩისთვის ასეთია: კერნსი („ფოლსოლი"), როში („მანჩესტერ იუნაიტედი"), კინიარი („ტოტენჰემ ჰოტსპური"), მალიგანი („კრისტალ პალასი"), მანჩინი („ქუინზ პარკ რეინჯერსი"), დანი („ბოლტონი"), ჰოლმსი („კოვენტრი სიტი"), ჯაილსი („ლიდს იუნაიტედი"), მარტინი („მანჩესტერ იუნაიტედი"), დელი („მანჩესტერ იუნაიტედი"), ბრედი („არსენალი"), უოტერსი („ლესტერ სიტი"), ჰენდი („პორტსმუთი"), ტრესი („პრესტონ ნორთ ენდი"), გივენსი („ქუინზ პარკ რეინჯერსი"), ჰეიუეი („ლივერპული"), კონუეი („ფულჰემი"), კონროი („სტოკ სიტი").

როგორც ხედავთ, ნაკრების მოთამაშეთა უმეტესობა ძლიერ ინგლისურ კლუბებში თამაშობს, ასე რომ, საბჭოთა კავშირის ფეხბურთელებს დიდი სიძნელეების გადალახვა მოუხდებათ.

(საქ. ინფ).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

თბილისი სპორტული ამბავი

წყალბურთი. საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტკომბინატის აუზი (ი. ჭავჭავაძის პრ. № 49-ბ) **24 ოქტომბერი. საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა: „ბურევესტნიკი" (თბილისი) — „ამატერი" (დუისბურგი, გფრ).** დასაწყისი 19 ს.

ჩოგბურთი. „დინამოს" საჩოგბურთო სტადიონი (სტალინის სახ. სანაპირო, № 2). **სსრ კავშირის თასის გათამაშების ფინალი. 24-27 ოქტომბერი.** დასაწყისი 10 ს.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.
რედაქციის მისამართი: 380096. თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50, რედაქტორის მოადგილე — 93-97-57, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული განყოფილება — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71, 93-97-56, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობისა და ჭადრაკის განყოფილებები — 93-97-51, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.